

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა ლათიფაშვილი

ლიტერატურული მასალები XX საუკუნის

10-20-იანი წლების კახეთის პრესაში

10.01.01 ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

მ ა ც ნ ე

თელავი

2011

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ქართული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი ჯავახიშვილი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შემფასებლები:

მაია თოფურია,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ხეთისო მამისიმედიშვილი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2012 წლის 26 იანვარს, 12 საათზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 2200, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდა 2011 წლის 26 დეკემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნინო კოჭლოშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა: XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველო აქტიური პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრებით გამოირჩეოდა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის აქტიურ ბრძოლაში ჩაბმული. ამ პერიოდის საქართველომ რეაქციის წლებთან ერთად ორი რევოლუცია გადაიტანა, თუმცა აქ მიმდინარე შემოქმედებითი ცხოვრება მაინც არ ჩამკვდარა. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძველ თაობას („თერგდალეულებს“) ახალი, ნოვატორული იდეებით გაჟღენთილი თაობა (სიმბოლისტებისფერყანწელები) ცვლის, გასული საუკუნის მეორე ათწლეულში სამოღვაწეო ასპარეზი დატოვეს აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ. უფრო ადრე ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ქართული ლიტერატურის სათავეებთან კი გალაკტიონ ტაბიძე, ტიცინან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი და სხვები მოვიდნენ. ამ პერიოდის მწერალთა ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა პრესის ორგანოებში. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა. ჩვენი ინტერესის სფეროს კახეთის პრესაში გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალები წარმოადგენს. ამ დროს ჟურნალ-გაზეთების სიმრავლით რეგიონებიდან იმერეთი და ქართლი გამოირჩეოდა. კახეთში კი 1912-1920 წლებში სულ ორი გაზეთი, „ხმა კახეთისა“ და „ახალგაზრდა ქართველი“ და ერთი ჟურნალი, „იმედი“ გამოვიდა. იმის მიუხედავად, რომ მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეულის კახეთის პრესა ლიტერატურისა და პრესის ისტორიის ზოგიერთმა

მკვლევარმა გარკვეულწილად შეისწავლა, დღემდე ამ ორგანოებში გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალები დეტალურად არ არის გამოკვლეული. ამდენად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშნული ნაწარმოებების სისტემაში მოყვანა და შესწავლა, რაც, ვფიქრობთ, შესაბამის სპეციალისტებსაც დააინტერესებთ.

კვლევის ძირითადი მიზანი: საკვლევი თემის ძირითადი მიზანია მოვიძიოთ და დეტალურად დავამუშავოთ ის ლიტერატურული მასალები, რომლებიც საკვლევ ეპოქაში გამოძვალა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს გასული საუკუნის დასაწყისის კახეთის პრესაში გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალების სრულყოფილად შესწავლის ცდას. კახეთის პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი ნაწარმოებების დიდი ნაწილი პრესის ორგანოებსა თუ ლიტერატურულ კრებულებში არ გამოქვეყნებულა. ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი ბევრი უცნობი მასალის წარმოჩენისა და განხილვის საშუალებას იძლევა.

ნაშრომის მნიშვნელობა: ჩვენი განსახილველი თემის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ ზემოთ წარმოდგენილ პრესის ორგანოებში გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებების დიდი ნაწილი დაწვრილებით შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. ამიტომ ვეცდებით გარკვეული შთაბეჭდილება შევქმნათ მათ შესახებ და ამ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შენახული ლიტერატურული მასალები ფართო საზოგადოების წინაშე წარვადგინოთ.

კვლევის ძირითადი შედეგები: ამ პერიოდის კახეთის ჟურნალ-გაზეთების ლიტერატურული მასალები ძირითადად ეპოქის გამომხატველია და იმ დროის ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებას ასახავს. ამასთან ერთად, ეს მასალები ძალზე მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივად, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. გაზეთში „ხმა კახეთისა“ გამოქვეყნდა როგორც ლექსები და მოთხრობები, აქ წარმოდგენილი იყო რუბრიკა „პატარა

ფელეტონი“, სხვადასხვა ხასიათის პოემები, პიესები და სცენები, რომლებსაც ხშირად მაშინდელი თეატრალური დასები დგამდნენ. გაზეთში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები კი სამშობლოს სიყვარულით იყო გამსჭვალული და მათი ავტორები საზოგადოებას მუდმივად გამოფხიზლებსკენ მოუწოდებდნენ. ჩვენ ამ ნაშრომის საშუალებით ბევრი უცნობი მასალა და ავტორი აღმოვაჩინეთ, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მათი გაცნობა საჭირო და დროული არის საზოგადოებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული წრეებისთვის.

წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ისტორიოგრაფია: ნაშრომის ძირითად წყაროს წარმოადგენს XX საუკუნის პირველ ოცწლეულში კახეთის რეგიონში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები. დიდი რაოდენობით ლიტერატურული მასალა გამოქვეყნდა სიღნაღში გამომავალ გაზეთში „ხმა კახეთისა“, რომლის არასრული კომპლექტები ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, გაზეთის რამდენიმე ნომერი დაცულია იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში, აგრეთვე საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში, გიორგი ლეონიძის რაქივში. ერთი საიუბულო ნომერი კი გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში ინახება ჟურნალ „იმედის“ ოთხი ნომერი. რაც შეეხება გაზეთ „ახალგაზრდა ქართველს“, პრესისა და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარების ინფორმაციით, მისი სამი - მეექვსე, მეშვიდე და მერვე ნომრები თელაველი მწერალი ქალის, ნინო გოგოლაძის („სევდიას“) პირად არქივში ინახებოდა, თუმცა, ჩვენი კვლევის პერიოდში ეს არქივი მთლიანად დაკარგული აღმოჩნდა. „ახალგაზრდა ქართველის“ პირველი, მეექვსე და მეთექვსე ნომრები პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს შემოუნახავს, რომელმაც საშუალება მოგვცა აღნიშნულ გაზეთს გავცნობოდით. რაც შეეხება

ისტორიოგრაფიას, ნაშრომში გამოყენებულია ის წყაროები, რომლებიც უშუალოდ ჩვენს საკვლევ ეპოქას ასახავს და წარმოდგენილ ლიტერატურულ მასალებს შეეხება. მათი ავტორები არიან: გიორგი ბაქრაძე, კიტა აბაშიძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი გოცირიძე, შალვა გოზალიშვილი, ლ.იანვარაშვილი, ა.მოსიაშვილი, გ.მიქაძე, თ.ოჩიგავა-გზირიშვილი, ივ.შაიშმელაშვილი, გ.ციციშვილი, ვ.თოფურია და სხვები.

ნაშრომის აპრობაცია: კვლევის სიახლეები ასახულია 3 სამეცნიერო ნაშრომში, რომლებიც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 154 გვერდისგან. გამოკვლევა შეიცავს შესავალს, ოთხ თავს ათი ქვეთავით, დასკვნასა და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალ ნაწილში გადმოცემულია ინფორმაცია საკვლევით თემის ობიექტისა და მისი მეცნიერული სიახლის შესახებ, მოკლედ არის წარმოდგენილი XX საუკუნის პირველ ოცწლეულში კახეთის რეგიონში გამოძვალა ჟურნალ-გაზეთების ისტორია. აგრეთვე საუბარია იმაზე, თუ რატომ შევარჩიეთ კვლევისთვის ამ პერიოდის კახეთის პრესა.

პირველი თავი - „ეპოქის მიმოხილვა“ - ოთხ ქვეთავად იყოფა.

პირველი ქვეთავია „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში“ - აღნიშნულ ქვეთავში საუბარია რევოლუციური მოძრაობის მიმართ იმ დროინდელი შემოქმედებითი ინტელიგენციის აზრზე - ილია ჭავჭავაძე გლეხობასა და თავადაზნაურობას მოუწოდებდა, შიდაეროვნულ ბრძოლაზე ხელი აეღოთ, ამ შეხედულებას მხარს აკავი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვები უჭერდნენ. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა

შემოქმედებითი ინტელიგენცია: იროდიონ ევდოშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ჭოლა ლომთათიძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, თედო სახოკია, ია ევალაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე. რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა თეატრმა და სამღვდელოებამ.

შემდეგ ქვეთავს წარმოადგენს „პირველი მსოფლიო ომი და საქართველო“, სადაც მოკლედ არის წარმოდგენილი ფრონტის ხაზზე ქართველების მონაწილეობა. აქვე ხაზგასმულია, რომ პირველ მსოფლიო ომში თავი კახეთის თავადაზნაურთა საგვარეულოების წარმომადგენლებმაც გამოიჩინეს, მათ შორის იყვნენ კონსტანტინე (კოტე) აფხაზი, აბელ მაყაშვილი, სპირიდონ ჭავჭავაძე, სტეფანე ახმეტელი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, სოლომონ ყარალაშვილი და სხვები. მეორე ქვეთავში აღნიშნულია ისიც, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებასა და მიმდინარეობას აქტიურად ეხმაურებოდა და ასახავდა იმ პერიოდში სიღნაღში გამომავალი გაზეთი „ხმა კახეთისა“. პერიოდული ორგანო რეგულარულად აქვეყნებდა „ომის დღიურებს“, რომლის ავტორიც კოტე ტყავაძე („ძველი მხედარის“ ფსევდონიმით) იყო.

მესამე ქვეთავი - „სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში“ - წარმოადგენს XX საუკუნის პირველი ოცწლეულის კახეთის რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. აქ აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში მკვეთრად დაეცა ქვეყნის ეკონომიკა, რამაც ხალხის, დაბალი ფენების უკმაყოფილება გამოიწვია. ანალოგიური ვითარება იყო კახეთშიც. მოიშალა მეურნეობა. სიძვირე, შიმშილი, სიღატაკე, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის ეკონომიკურად ხელმოკლე ფენას აწუხებდა. მომრავლდა მათხოვრობა, ეპიდემიებისა და შიმშილობის მსხვერპლი კი ყოველდღე მატულობდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის მოსახლეობას არსებობისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია, სწორედ ამის მიმანიშნებელია ის ფაქტი, რომ პირველი მსოფლიო ომის პირობებში კახეთში რკინიგზის გაყვანა დაიწყო, რამაც შესაძლებელი გახადა ამ რეგიონში მევენახეობა-

მედვინეობის სწორად წარმართვა. კახეთის რკინიგზის ხაზის გაყვანამ გამოიწვია ამ მხარეში სრული ეკონომიკური გადატრიალება. მოძრაობის გახსნის შემდეგ დაიწყო საქონლის გაცვლა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელ რაიონებთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ დროს მოხდა კახეთში „თამარის არხის“ გაყვანა, რასაც, სხვათა შორის, „ხმა კახეთისა“ აქტიურად ეხმაურებოდა. გასული საუკუნის დასაწყისში სიღნაღის კოოპერატივი და ანაგის ბაზრობა დაფუძნდა, კახეთშივე ჩამოყალიბდა ქიზყ-კახეთის სააქციო საზოგადოება „ალზიორა“ (სახელი ალაზნის და იორის გაერთიანებით არის მიღებული), სადაც ამზადებდნენ სიგარეტის ასღერიან კოლოფს „ალზიორას“ სახელწოდებით. კოლოფზე გამოსახული იყო სანდრო ახმეტელი.

პირველი თავის ბოლო ქვეთავს წარმოადგენს **„კულტურული ვითარება და ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში“**, სადაც ნათქვამია, რომ ამ პერიოდში საზოგადოებრივ მოღვაწეობას თანდათან ტოვებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა უფროსი თაობა. საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე მოკლეს, 1912-1915 წლებში კი სამოღვაწეო ასპარეზი თან დათან დატოვეს იაკობ გოგებაშვილმა, არჩილ ჯორჯაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ. ამ მოვლენების პარალელურად ლიტერატურულ სარბიელზე ქართული მწერლობის ახალგაზრდა თაობა გამოდის, ესენი არიან: იროდიონ ევდოშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები.

მეორე თავს წარმოადგენს „გაზეთი „ხმა კახეთისა“, რომელიც ექვსი ქვეთავისგან შედგება.

პირველი ქვეთავი „ხმა კახეთისას“ მიმოხილვა“ გაზეთის ზოგად დახასიათებას წარმოადგენს. ამ ნაწილში აღნიშნულია, რომ კახეთში პირველი გაზეთი 1912 წელს გამოვიდა, ეს იყო სიღნაღში გამომავალი გაზეთი „ხმა კახეთისა“, სადაც პირველსავე ნომერში

მითითებულია, რომ ეს არის „წვრილ-ბურჟუაზიული გაზეთი, აშუქებდა კახეთს ეკონომიკას და კულტურულ საკითხებს (სან. განიძის, დავიწყებულის, ივ. ქიტიაშვილის, ენტესი, ბ. ვანელის და სხვა ავტორთა კორესპონდენციები სხვადასხვა სოფლებიდან), ლიტერატურულ ნაწილში თანამშრომლობდნენ: ვაჟა-ფშაველა, ი. მჭედლიშვილი, ს.ფაშალიშვილი, ალ. შანშიაშვილი“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ქართული პრესის ბიბლიოგრაფიაში“ გაზეთის შესახებ წერია: „ყოველდღიური სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთი. სიღნაღი. რედაქტორ-გამომცემელი კ.ი. ტყავაძე. პირველი (ქართული) გაზეთი კახეთში, სულ გამოვიდა 250 ნომერი. 1917 წლამდე გამოდიოდა“, თუმცა ჩვენი მრავალმხრივი ძიების მიუხედავად 1916-1917 წლებში გამოცემული ვერც ერთი ნომრის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ. გაზეთმა გამოცემა რედაქტორის, კოტე ტყავაძის ომში გაწვევის გამო შეწყვიტა.

მეორე ქვეთავი - „ხმა კახეთისას პოეზია“ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსებისა და პოემების ანალიზს წარმოადგენს. „ხმა კახეთისა“ პერიოდულად ბეჭდავდა ადგილობრივი მწერლები: იოსებ მჭედლიშვილის, სიკო ფაშალიშვილის, გიო კანაშვილის („გ.კანანელის“ ფსევდონიმით), სანდრო შანშიაშვილის, ილო მოსაშვილის, აგრეთვე თელაველი მწერალი ქალის - „სევდიას“ (ნინო გოგოლაძე), ლირიკულ ნაწარმოებებს, რომელთა ნაწილი გლეხკაცის შრომას ასახავს, ნაწილი სამშობლოს სიყვარულს ეძღვნება, ნაწილი კი სატრფიალო ხასიათს ატარებს. გაზეთში დიდი ადგილი დაეთმო პატრიოტულ ლირიკას, საქართველოსა და კახეთს ლექსები ადგილობრივ პოეტებთან ერთად აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ მიუძღვნეს. აკაკიმ ლექსი „კახელებს“ „ხმა კახეთისას“ რედაქციას პატარა წერილთან ერთად გამოუგზავნა, სადაც მგოსანი კახეთს გაზეთის გამოსვლას ულოცავს. ეს წერილი მნიშვნელოვანია იმით, რომ მწერლის თხოვლევანათა სრულ კრებულში არ შესულა და „ხმა კახეთისამ“ შემოინახა, რაც შეეხება თავად ლექსს, ის აკაკის თხოუთმეტტომეულის მესამე ტომშია

შესული და მითითებულია, რომ „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნდა. გაზეთში დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ლექსი „კახეთს“, რომელიც თავდაპირველად „საქართველოს გაზეთში“ გამოქვეყნდა. „ხმა კახეთისაში“ ვაჟა-ფშაველას კიდევ ერთი ლექსი დაიბეჭდა, რომელიც აგრეთვე სამშობლოს ეძღვნება. ლექსს, რომელიც ავტორმა ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ სადამოწვე წაიკითხა, ჰქვია, „იმერეთს“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შენიშვნებსა და ვარიანტებში არ არის მითითებული, რომ ლექსები „კახეთს“ და „იმერეთს“ „ხმა კახეთისაში“ გამოაქვეყნა. „ხმა კახეთისაში“ 1914 წლის სექტემბრიდან აქტიურად იწყება მსოფლიო ომთან დაკავშირებული ლექსების ბეჭდვა, მათი ავტორები იყვნენ: ილო მოსაშვილი, კოტე დარაშვილი, ალექსანდრე რომანიშვილი, მიხეილ ჭეიშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, გიო კანაშვილი და სხვები.

საინტერესოა „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნებული სატფიალო ხასიათის ლექსები. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გიორგი ლეონიძის ლექსები, რომლებიც მწერალმა გაზეთში გამოაქვეყნა. ლექსი „ჩანჩქერი“ შალვა დადიანის არქივში დაცულ „ხმა კახეთისას“ ბოლო ნომერში პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა აღმოაჩინა, მეორე ლექსს სათაურით „ანდერძი“ გაზეთში არსებული ლიტერატურული მასალების შესწავლის დროს მივაკვლიეთ. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი მწერლის არქივსა და კრებულებში არ შესულა.

გაზეთთან უთანამშრომლია იოსებ გრიშაშვილსაც. „ხმა კახეთისაში“ 1913 წელს მისი ორი ლექსი, „თეთრი წვიმა“ და „ცისიერი, მიწიერი“ გამოქვეყნდა. 1914 წელს კი დაიბეჭდა ლექსი „კახეთში“, „ხმა კახეთისაში“ იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლექსების ხაზს აგრძელებს ლექსი „მთვრალი ალერსი“, ის არც ერთ ჩვენთვის ცნობილ გამოცემაში არ დაბეჭდილა და როგორც ჩანს, მხოლოდ „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნდა.

1915 წელს გზეთში გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მოგონება“ იბეჭდება, რომელიც თავდაპირველად ჟურნალმა „შადრევანმა“ გამოაქვეყნა.

როდესაც სატრფიალო პოეზიაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნებული იოსებ მჭედლიშვილის ლექსები. როგორც ზემოთაც ვწერთ, მან თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნება გაზეთის გამოსვლისთანავე დაიწყო და აქტიურად თანამშრომლობდა კიდეც. „ხმა კახეთისაში“ მისი რამდენიმე სასიყვარულო ლექსი დაიბეჭდა, მათ შორის: „ახ, ნეტავ ის დრო“, „მგზავრი“, „ ვინ შევიყვარო“, „სიმღერა“, „სამი ხმა“. აღსანიშნავია, რომ ლექსი „მგზავრი“ შეტანილია პოეტის კრებულში „ფერადი მძივი“, რომელიც პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის დახმარებითა და მისი წინასიტყვაობით მწერლის შვილმა 1980 წელს გამოსცა. თავისი მრავალფეროვანი შემოქმედება წარმოადგინა გაზეთში ილო მოსაშვილმა. სწორედ აქ გამოაქვეყნა პირველი ლექსები, რომლებიც მის რჩეულ თხზულებათა სამტომეულში არ შესულა. ესენია: „საპასუხო“, „ჩემს მზეს“, „დახეულ რვეულიდან“, „ქალო“, „შენ“, „ჩემს ლამაზს“.

სატრფიალო ლექსებს გაზეთში „ხმა კახეთისა“ მწერალი სანდრო შანშიაშვილიც აქვეყნებდა, ამათგან აღსანიშნავია „გლეხის ქალი“ და „ცელქო გოგონი“. სასიყვარულო თემატიკის რამდენიმე ლექსი გაზეთში მუდმივ კორესპონდენტსა და მწერალს, ვასილ სიფრაშვილის გამოუქვეყნებია („ოდეს ტურფა თავს მევლება“, „ზღვის პირს ვდგავარ“, „ტრფობის ნავით“ და სხვა).

გაზეთთან თანამშრომლობდა გრიგოლ ცეცხლაძე, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების ფრთას წარმოადგენდა და რევოლუციის დაწყების შემდეგ გაზეთ „შრომას“ რედაქტორობდა. „ხმა კახეთისაში“ მისი ლექსი „შემიყვარე“ დაიბეჭდა.

გაზეთში კიდეც შ. გიგინეიშვილის, ა.ხვეისპირელის, ალ. რომანიშვილის, ვ.გორგაძის რამდენიმე სატრფიალო ლექსი გამოქვეყნდა. გარდა ამისა, „ხმა კახეთისაში“ ზოგჯერ სხვა მიმართულების, მაგალითად რელიგიური ხასიათის ლექსებიც

იბეჭდებოდა. საერთოდ, გაზეთი ხშირად ეხმაურებოდა რეგიონის ეკლესია-მონასტრებსა თუ სასულიერო სასწავლებელში არსებულ მდგომარეობას, თამამად წერდა იქ გამეფებულ პრობლემებზეც, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ თემატიკის ლექსებსაც აქვეყნებდა.

გაზეთი ამასთან ერთად აქტიურად წერდა ახალი თაობის ცხოვრებასა და მათ დამოკიდებულებაზე ქართული ტრადიციების მიმართ. „ხმა კახეთისაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის, სანდრო შანშიაშვილის, სიკო ფაშალიშვილისა და სხვების ლექსები.

გაზეთი ყოველი წლის დასაწყისში საახალწლო მილოცვებსაც აქვეყნებდა. ზოგიერთი მათგანი კრიტიკული ხასიათისაა და ადგილობრივ მაღალჩინოსნებს ეხება. „ხმა კახეთისაში“ ფურცლებზე გამოქვეყნდა აგრეთვე აკაკის პოემის, „რაჭა-ლეჩხუმის“ შესავალი ნაწილი და იოსებ მჭედლიშვილის პოემა „გლეხი ზაქრო“.

მესამე ქვეთავი „ხმა კახეთისაში“ პროზას“ წარმოადგენს. ამ ქვეთავის განხილვისას უნდა აღინიშნოს აკაკი წერეთლის მოთხრობა „სიკვდილი“, რომელიც პირველად ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა. ეს მოთხრობა მგოსნის აკადემიურ გამოცემათა თხუტმეტტომეულშია შესული, თუმცა არ არის მითითებული, რომ „ხმა კახეთისაში“ გამოაქვეყნა. აქვე იბეჭდება აკაკის კიდევ ერთი მოთხრობა „აკაკის ძველი ნაწერებიდან“, რომელიც თავდაპირველად გაზეთ „დროებაში“ (N31, 1871წ), შემდეგ კი გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა. გაზეთში პერიოდულად ქვეყნდებოდა ადგილობრივ შემოქმედთა მოთხრობებიც, თუმცა სხვა ჟანრის ნაწარმოებებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ყველა მათგანი ფსევდონიმითაა დაბჭდილი. მათგან ზოგი გახსნილია, ზოგი კი დღემდე უცნობი დარჩა. „ხმა კახეთისაში“ იბეჭდებოდა როგორც მოკლე ნოველები და მინიატურები, ასევე ვრცელი მოთხრობები, რომელთა გამოქვეყნებაც ზოგჯერ გაზეთის რამდენიმე ნომერში გრძელდებოდა. აქვეა რუბრიკა „პატარა ფელეტონი“, სადაც სხვადასხვა ავტორის მცირე მოცულობის

პროზაული ნაწარმოებები ქვეყნდებოდა. მათი ავტორები იყვნენ: „ვინმე“ (დიმიტრი ბარნაბიშვილი), „მიშ“ (ილია შანშიაშვილი), „სიტყვა“ (სამსონ ფირცხალავა), „სანგანიძე“ (სანდრო გრძელიშვილი), აქვე გამოქვეყნდა ივანე გომართელის „დაწყველილი დღე“. გაზეთში დაიბეჭდა ოსკარ უაილდის, ივ.პორუკის და რამდენიმე უცნობი მწერლის ნაწარმოებთა თარგმანები.

გაზეთ „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე პერიოდულად სცენები და პიესები ქვეყნდებოდა, რომლებსაც ხშირად ადგილობრივი თეატრალური დასები დგამდნენ. რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა ოპერა „ხაპხაპას“ სცენები, რომლის ავტორიც „დემონია“. მისივე ავტორობით დაიბეჭდა „სცენები ზნეუთის დევ-გმირთა ცხოვრებიდან“. კიდევ ერთი პიესა, რომელიც „კარდენახელის“ ფსევდონიმით კ.გულიაშვილმა გამოაქვეყნა, არის „რედაქტორი უბედურია“, რომელიც გაზეთის სამ ნომერში გრძელდება.

მეოთხე ქვეთავია „ფოლკლორული მასალები „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე“, სადაც აღნიშნულია, რომ გაზეთი თავისი არსებობის მანძილზე დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. „ხმა კახეთისამ“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა კახეთის სხვადასხვა სოფელში შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომლების ჩამწერთა ვინაობა დადგენილი არ არის. გაზეთში დაიბეჭდა ცნობილი „ვერცხლისა თასად მაქცია“, „შენი თითბერის ენითა“, „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“, „დამეხსენ, დედი, დამეხსენ“, რომლე ბიც ია კარგარეთელმა ქართლში შეაგროვა და „ხმა კახეთისას“ გამოუგზავნა. გაზეთში გამოქვეყნდა ცნობილი ლეგენდა „ხომატიანი“. აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების ხალხური შემოქმედების ნიმუშები, რომლებსაც თავად გაზეთის თანამშრომლები თარგმნიდნენ.

მეხუთე ქვეთავში „ხმა კახეთისას“ პუბლიცისტიკა წარმოდგენილია იროდიონ ევდოშვილის („X“-ის ფსევდონიმით) წერილების ციკლი „ნახული და ფიქრები“. წერილები ავტორის

სოფლის ცხოვრების კარგ ცოდნაზე მეტყველებს. მისი სტატიები გარდა იმ დროის რეალობის აღწერისა, ლიტერატურულ ღირებულებასაც წარმოადგენს, რადგან მათში მრავლადაა პეიზაჟების მხატვრული აღწერა. ავტორი იყენებს სხვადასხვა ლექსებსა თუ გადმოცემებს, პროზაულ ნაწარმოებებსა და პოეზიას, რათა ზუსტად გადმოსცეს ქიზიყში არსებული ვითარება, საკუთარი შეხედულებები და განცდები.

გაზეთში „ხმა კახეთისა“ პუბლიცისტური წერილების კიდევ ერთი სერია ქვეყნდება, რომლის ავტორი პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი სანდრო შანშიაშვილია. გაზეთში „ხმა კახეთისა“ სანდრო შანშიაშვილის 28 წერილი გამოქვეყნდა. მათი უმეტესობა პრობლემატურ საკითხებს შეეხებოდა და არა მარტო მაშინდელ, დღევანდელ ცხოვრებასაც ეხმაურება. შანშიაშვილი ყველა მათგანს მეგობრისადმი მიმართვით იწყებს და თითქოს კონკრეტულ ადამიანს ესაუბრება, მაგრამ ქართველი მკვლევარების აზრით, ამ წერილებს კონკრეტული ადრესატი არა ჰყავდა და მას ავტორი იყენებს, როგორც პუბლიცისტური წერილების ერთგვარ მანერას.

მეექვსე ქვეთავში „ლიტერატურული წერილები და ინფორმაციები „ხმა კახეთისაში“ განხილულია რუბრიკა „ჩვენი მწერლები“, რომელშიც XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ ვრცლად არის მოთხრობილი. რუბრიკას უძღვებოდა თედო ბეგიაშვილი. აღნიშნულ წერილებში წარმოდგენილია სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ლავრენტი ადაზიანის, დანიელ ჭონქაძის და გრიგოლ რჩულიშვილის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი დახასიათებები.

გარდა ამისა „ხმა კახეთისა“ აქტიურად ეხმაურებოდა ყველა იმ მოვლენას, რომელიც იმ პერიოდის ლიტერატურულ, სამწერლობო ცხოვრებას შეეხებოდა. აქვე გადმოცემულია იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-

ფშაველას, იროდიონ ევდოშვილის შესახებ რედაქციის მიერ მოძიებული ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ინფორმაციები.

მესამე თავია „გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“, რომელიც 1919 წლის 20 იანვრიდან თელავში გამოდიოდა. მისი რედაქტორი გიმნაზიის მოსწავლე დათუნა აბაშიძე იყო. როგორც ცნობილია, გაზეთის სულ ათი ნომერი გამოვდა. „ახალგაზრდა ქართველში“ ძირითადად ადგილობრივ მოწაფეთა ნაწარმოებები იბეჭდებოდა. მათი ავტორები იყვნენ: „საგირეთელი“ (ალექსანდრე პოპიაშვილი), „ილაღე“ (ფსევდონიმი გამოფრული არ არის), „დ-ა-ძე“ (დათუნა აბაშიძე), „მველგალავანელი“ (ზაქარია ჩხიკვაძე), „სევედია“ (ნინო გოგოლაძე).

იმის მიუხედავად, რომ გაზეთი მცირე ტირაჟით გამოდიოდა და მისი მხოლოდ ათი ნომერი გამოიცა, მან თავისი როლი შეასრულა თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებასა და შემოქმედებით განვითარებაში. ამასთან ერთად გაზეთში უამრავი საინტერესო სტატია გამოქვეყნდა, რომელიც ეხებოდა განათლების საკითხებს, სპორტულ ცხოვრებას, ფსიქოლოგიასა და საბიბლიოთეკო საქმეს. ამდენად გაზეთი მრავალმხრივ საინტერესო მკვლევარებისთვის, მითუმეტეს, რომ ის ჟურნალ-გაზეთების არც ერთ ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში აღწერილი არ არის.

ნაშრომის ბოლო, მეოთხე თავს წარმოადგენს „ჟურნალი „იმედი“, რომელიც სიღნაღში 1920 წელს გამოვიდა. ეს იყო მოსწავლეთა პირველი ნაბეჭდი ჟურნალი საქართველოში, რომლის გამოსვლა მეოთხე ნომრით შეწყვეტილა. ჟურნალში იბეჭდებოდა მოწინავე მოწაფეთა ლექსები, მოთხრობები, სტატიები და წერილები ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, ქრონიკა და სხვა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ილია ქდაგიშვილი, სტეფანე ფურცელაძე, ალექსანდრე გზირიშვილი, იოსებ გოზალიშვილი, გიორგი ლეკიაშვილი. აგრეთვე მასწავლებლები: მ. ყოჩიაშვილი, ლევან ძეძამიძე, საგირეთელი (ალ. პოპიაშვილი), ი. ხვეისპირელი, თამარ ბოსტაშვილი და სხვები. ჟურნალში გამოქვეყნდა მეექვსე კლასის მოწაფის, ალექსანდრე

გზირიშვილის მოთხრობა „ვისი ბრალია“, ამავე კლასის მოსწავლის, თამარ ბოსტაშვილის მხატვრული ნარკვევი „სახალწლო“, მეშვიდე კლასის მოწაფე „ბერი იერონიმეს“ ფსევდონიმით ლექსი „მთაწმინდას“, მეხუთე კლასის მოწაფე სოსო გოზალიშვილის მხატვრული ესკიზი „ოქროს შემოდგომა“, „თაიგულის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსი „ადამიანი“, „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის 8 სტროფის ტექსტი, დამუშავებული გიმნაზიის მოსწავლის, ივანე მჭედლიშვილის მიერ. იმის მიუხედავად, რომ ჟურნალ „იმედის“ სულ ოთხი ნომერი გამოვიდა და მის შესახებ ფართო ლიტერატურულ და სამეცნიერო წრეებში ბევრი არაფერია ცნობილი, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი სიღნაღის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში. სიღნაღის გიმნაზიის ჟურნალი „იმედი“ ითვლება მოსწავლე ახალგაზრდობის პირველ ნაბეჭდ ჟურნალად საქართველოში.

დასკვნაში ჩამოყალიბებულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები. XX საუკუნის პირველი ოცწლეული აქტიური ლიტერატურული და შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩეოდა. კახეთში კი ამ პროცესს ხელი ჟურნალ-გაზეთების გამოცემამაც შეუწყო. სიღნაღში გამომავალი მოწაფეთა ჟურნალი „იმედი“ და თელავში გამოსული გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“ იქ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სტიმული გახდა, რომ ლიტერატურული წრეები შეექმნათ და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულიყვნენ. ორივე გამოცემაში მოწაფეებთან ერთად გიმნაზიის პედაგოგებიც მუდმივად თანაშრომლობდნენ. რაც ყველაზე მთავარია, აქ დაბეჭდილი ლიტერატურული ნაწარმოებები სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზეთ „ხმა კახეთისას“ მნიშვნელობა. ეს გაზეთი იმ დროის კახეთში ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოდიოდა და ბევრი თანამაზარე შეიძინა. აქ ლექსებს, მოთხრობებსა თუ სხვა მხატვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ როგორც მისი

მუდმივი თანამშრომლები, ისე ცნობილი მწერლები და რიგითი ადამიანები. „ხმა კახეთისათი“ იმ დროს დიდი მგოსანი, აკაკი დაინტერესებულა და მისთვის ლექსიც მიუძღვნია, თავისი კეთილგანწყობა გაზეთისადმი არც იოსებ გრიშაშვილსა და გიორგი ლეონიძეს დაუმაღავთ. აქ გამოქვეყნებული ლიტერატურული ნიმუშების უმრავლესობა მხოლოდ „ხმა კახეთისამ“ შემოინახა. ასწლოვანი გაზეთის ფურცლებზე უამრავი ჯერ გამოუქვეყნებელი და დასამუშავებელი მასალაა თავმოყრილი. ჩვენ შევეცადეთ, რომ ისინი მაქსიმალურად შეგვესწავლა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ აქ დაბეჭდილი ნაწარმოებების დიდი ნაწილის შესახებ მწერალთა აკადემიურ გამოცემებსა და კრებულებში არაფერია ნათქვამი, ხშირად კი, შენიშვნებსა და დამატებებში არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ნაწარმოები „ხმა კახეთისამ“ გამოაქვეყნა. სწორედ ამის გამო ჩავთვალეთ საჭიროდ, ხელი მოგვეკიდა ამ საკითხის შესწავლისთვის. ამ პერიოდის კახეთის ჟურნალ-გაზეთების ლიტერატურული მასალები ძირითადად ეპოქის გამოშნატველია და იმ დროის ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებას ასახავს. ამასთან ერთად, ეს მასალები ძალზე მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივად, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. ჩვენ ამ ნაწარმოებების დიდი ნაწილი განვიხილეთ და ამ ნაშრომის საშუალებით ბევრი უცნობი მასალა და ავტორი აღმოვაჩინეთ, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მათი გაცნობა საჭირო და დროული არის საზოგადოებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული წრეებისთვის.

დისერტაციის ძირითადი დებულებანი და დასკვნები
გადმოცემულია ავტორის შემდეგ სამეცნიერო შრომებში:

1. „სანდრო შანშიაშვილის „წერილები მეგობრისადმი“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 2009წ. აგვისტოს 2 (34) ნომერი.
2. „გაზეთ „ხმა კახეთისას“ ერთი რუბრიკის ირგვლივ“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 2011 წ. აგვისტოს 2 (40) ნომერი.
3. „ქართული ფოლკლორი გაზეთ „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 2011წ. დეკემბრის 3 (41) ნომერი.

State Institute of Telavi named after
Iakob Gogebashvili with manuscript right

Tea Latipashvili

**Literary materials of twentieth century, ten – twenties
years in the press of Kakheti**

10.01.01 Georgian Literature

There is presented dissertation for getting
academic degree of philology doctorate

Herald

Telavi
2011

Labour has been performed in State Institute of Telavi named after Iakob Gogebashvili in Chair of humanitarian science ,faculty of Georgian Philology.

Leadership of Sciences

Giorgi Javakhishvili

Doctor of philological sciences, professor

Appraisers:

Maia Topuria

Doctor of philological sciences

Khvtiso Mamisimedishvili

Doctor of philological sciences, professor

The protection of dissertation will be started on the twentieth – six of January, 2012 year, on twelve o’ clock in State Institute of Telavi named after Iakob Gogebashvili on faculty of humanitarian Sciences with council meeting.

Address: 2200 Telavi,street of Georgian university N 1

It will be possible to look through dissertation in library of State Institute of Tealavi named after Iakob Gogebashvili

Dissertation herald will be hosting on web – page on the twentieth - six of December in 2011

Learned secretary of dissertation council ,

Doctor of philological, associate professor

Nino Kochloshvili

General Description of dissertation labour

Actuality of research Topics: Dissertation topics includes the press in Kakheti, literature materials , the twentieth century, the first twentieth years. During this period, in region newspapers “Khma Kakhetisa” and “Akhalgazrda Khartveli” also magazine „Imedi“ had been published. Some researchers studied the press of Kakheti literature and the press of history in twentieth centuries, the first twentieth years, but until the published literature materials details have not been studied and it is necessary to bring this work in system and study, so we think this will be interesting for some specialists.

The main aim of research: The main point of research is to getting and working out literature materials which was published in newspapers and magazines in the study era.

Novelty of labour sciences : This qualification labour presents perfectly studying trial of Kakheti’s press literature materials which was published in the beginning of the last century. Most of the work was not published in the bodies of press or in literature collection ,so presented papers allow means to review many of the unknown materials and illumination.

The importance of labour: Our discussion about this important theme is the fact that published literature labours in the bodies of press are not studied and researched in detail and so we will try to give you impression about this magazines and newspapers stored in literature materials and we will publish it in front of wider society.

Source database and historiography : The main source of labour is magazines and newspapers which were published in region of Kakheti in twentieth centuries in the first twentieth years. A large amount of literary materials were published in Signagi in newspaper

“Khma Kakhetisa” and incomplete version are stored in Signagi in the Museum of local Lore, in the parliament library named after Ilia Chavchavadze, in the state University named after Ivane Javakhishvili. Some number of news papers are stored in the museum of Ioseb Grishashvili, also in Georgian literature museums, in archive of Giorgi Leonidze. One of the celebrations number is stored in historical and ethnographic museum named after Giorgi Chubinishvili in Telavi. Four number of magazine “Imedi” is stored in archive of Signagi’s historical – ethnographic museum, what about newspaper’s sixth, seventh and eighth numbers were stored in prime archive of Telavian woman authority, Nino Gogoladze “Sevdia”, but in period of our research, this archive has been completely lost. The first sixth and tenth numbers of “Akhalgazrda Khartveli” saved by professor, Giorgi Javakhishvili allowed us to introduce with marked newspapers. What about historiography, there are published sources in labour what reflects an era of researches and are about literature materials. Authors are: Giorgi baqradze, Kita Abashidze, Giorgi Javakhishvili, Giorgi Gotsiridze, Shalva Gozalishvili, L Ianvarishvili, A Mosiashvili, G Miqadze, T Ochigava- Gzirishvili, Iv Shaishmelashvili, G Tsitsishvili, V Toforia and others.

Approbation of the work: News of research are published in three sciences labour and they are published in international reviewer magazines.

The size and structure of labour: Dissertation labour consists of 154 pages printed on the computer. The research contains an introduction, four chapter and ten section, conclusion and lists of published sources and literature.

The main contents of dissertation labour:In the introduction there are transmitted information about research theme and about sciences news,there are presented twentieth centuries ,ten – twentieth years in Kakheti’s region magazines and newspapers history .Also there we talk why we have choose this period of Kakheti’s region for our research.

The first chapter – review of era – it is divided into four section – in the first section “political – soviet situation in Georgia. There are talk about twenties years ,Georgia was marked by revolutionery life and by internal rebellion. At the same time there were national liberation movement to get social equality .There are talk about time when creative interigent were thinking through revolution movement .In this section talk is about what creative intelligence that at this time through revolution movement – Ilia Chavchavadze calling on the peasantry and nobility to stop national fight ,his view was supported by Akaki Tsereteli, Iakob Gogebashvili,Ivane Javakhishvili,Luarsab Botsvaze and others. In revolution movement actively involved creative intelligence:Irodion Evdoshvili,Mikheil Javakhishvili,Chola Lomtadze,Shalva Dadiani,Leo Qjacheli,Tedo Sakhokia,Ia Ekladze,Ekaterine Gabashvili,Nino Nakashidze.There are presented as social – political situation , as criminal situation in this section ,which was in this period in Kakheti’s region.

Next section is about The First World War and Georgia: In a shortly there is presented how Georgian people fight on the first front line,It also highlights how showed families of Kakhetian nobility in the First World War.The second section presents that the magazine “Khma Kakhetisa”which was published in this period, actively responding to the World War I starting and proceeding,and

periodically published “Omis Dgiurebi” author was Kote Tkavadze (pseudonyms “dzveli Mkhedari”).

The third section – “social – economiacal situation in Georgia”- this section presents social and economic situation in Kakheti’s region in twenties centuries ,the first twenties years. There is marked that in this period the economic situation fell sharply and it caused lower layers discontent, but we must underline that people of this region didn’t stop the struggle for existence, exactly In this period the railway line was taken in Kakheti’s region and this caused a great economic coup. After opening the railway line, people lively began changing goods in the north and south Caucasus regions with agricultural productions. We must underline the fact that exactly in this period “Tamari Channel” was withdrawal. by the time “Khma Kakhetisa were actively responding to this fact.In the beginning of the last century there were established Signagi’s co-operative and market of Anaga.There also were established Qizik – Kakheti’s joint stock company “Alziora”(name is mixture of Alazani and Iori) where were prepared box of one – hundred cigarettes “Alziora”

In the first chapter of the last section presents **“cultural situation and literature life in Georgia”** In this period adult generation of national liberation slowly were living community activity .In the beginning of the century ,Ilia Chavchavadze died ,in 1912 - 1915,arena for creative was slowly left by Iakob Gogebashvili,Archil Jorjzadze,Akaki Tsereteli,Vaja Pshavela. At the same time new young generation of young authers are performing on creative stage,they are Irodion Evdoshvili, Ioseb Grishashvili,Sandro Shanshiashvili,Galaqtion Tabidze,Aleqsandre Abasheli,Paolo Iashvili,Titsian Tabidze,Giorgi Leonidze,Valerian Gafrindashvili and others.

In the fourth section talk is about **regional cultural development and about increasing the level of education**. Georgian reading and writing spreading community helped to increase the level of education, what about Kakhetian cultural life, from official sources we see that in Telavi was theatre where performances were performed in Russian – Georgian – Armenian languages. Advertisements about theatre performances were performed.

The eighth chapter is about newspaper “Khma Kakhetisa” review. It presents general review of newspaper in Kakheti was published in 1912-1915 years. It was in Signagi, newspaper “Khma Kakhetisa” and it was agricultural and literature peoples newspaper. We must underline that some researcher said that “Khma Kakhetisa” was published until 1917 years, but in spite of our attempt we couldn't find no number of newspapers published in 1916-1917 years. The newspaper ceased publication, because Evictor Kote Tkavadze was recruited in the war.

The second section –“Poetry of “Khma Kakhetisa” –It presents analysis of poems and poetries. Periodically “Khma Kakhetisa” was printing lyrical works of local authors: Ioseb Mchedlishvili's, Siko Pashalishvili's, Gio Kanashvili's (pseudonyms “G Kananli”), Sandro Shanshiashvili, Ilo Mosashvili, also Telavian woman author “Sevdias” (Nini Gogoladze) and this lyrical works were about peasantry life, some of this lyrical works reflected love of mother country and some were about loving character. Most of the newspapers reflect patriotic lyrics. Akaki Tsereteli and Vaja Pshavela devoted lyrics to Georgia and Kakheti with local authors. Akaki sent lyrics “Kakhelebs” “Khma Kakhetisa” with a small letter in editorial office, where he was congratulating on going our newspaper. This latter is important because it has not been in author's complete

works and it is mentioned it was published in “Khma Kakhetisa”. What about lyrics it was published in Akaki’s fifteenth volume edition in the third volume edition and it is mentioned that it was published in “Khma Kakhetisa. In the newspaper was published Vaja Pshavela’s lyric “Kakhets” Firstly it was published in “Georgian Newspaper” .Vaja Pshavela published also one lyric ,which was also devoted to mother land. The lyric which author had read in Kutaisi in the literature evening is “Imereti”. It must be remarked that it is not in author’s academic work. Lyrics “Kakheti” and “Imereti” were published in “Khma Kakhetisa”. From September in 1914 years in the newspaper were being actually printed lyrics about World War. Authors were: Ilo Mosashvili, Kote Darashvili, Aleqsandre Romanishvili, Mikheil Cheishvili, Grigol Tsetskhladze, Gio Kanashvili and others.

Loving lyrics printed in “Khma Kakhetisa” is very interesting. Firstly we must remark lyrics of Giorgi Leonidze, which he printed in the newspaper, lyric “Chanchkeri” was founded by professor Giorgi Javakhishvili and it was stored in Shalva’s archive ,in the last edition of “Khma Kakhetisa”, the second lyric “Anderdzi” we found it during literature researches .We must remark that no one of these lyrics had not been in author’s archive and collection.

Ioseb Grishashvili was contributed to a newspaper. His lyrics “Tetri Tsvima” and “Tsisieri Mitsieri” “Kakhetshi” “Mtvrali alersi” were published in “Khma Kakhetisa”

In 1915 years ,Galaktion Tabidze’s lyric “Mogoneba” was printed in the newspaper. which firstly was published by magazine “Shadrevani”.

When we talk about loving lyrics, we must remark Ioseb Mchedlishvili’s lyrics published in “Khma Kakhetisa” . they are:

“Akh netav is dro”, “Mgzavri”, “Vin Shevikvaro”, “Simgera”, “Sami Khma’. We must remark that lyric “Mgzavri” is in author’s collection, “Peradi Mdzivi”, which was printed by author’s child In 1980 years with assistance of Giorgi Javakhishvili.

Ilo Mosashvili performed his various creation in the newspaper, exactly his first lyrics were published there ,which has not been in his three velum edition,they are:” Sapasukho”, “Chems Mzes”, “ Dakheul Rveulidan”,”Qalo”, “Shen”,”Chems Lamazs”, Sandro Shanshiashvili and Vasil Siprashvili were publishing loving lyrics in the newspaper “ Khma Kakhetisa”.

Grigol Tsetskhladze contributed to the newspaper, he was representative of social- federals and after beginning of revolution he was editor of newspaper “Shromas”. His lyric “Shemikvare” was published in “Khma Kakhetisa”.

In spite of this “Khma Kakhetisa”were being published lyrics about religious. Totally the newspaper were responding to churches and monasteries very often and also to elesiastic collages.The newspaper were writing about problems existing there that’s why it is not surprise that the newspaper were being published lyrics about this themes.

Also the newspaper actually were responded new generation life and their attitude to traditions,” Khma Kakhetisa” published lyrics of Akaki Tsereteli, Sandro Shanshiashvili,Siko Pashalishvili and others about this questions.

In the beginning of every year the newspaper were published New Year congratulations .Some of them were critical and were about high rank.

Also on the pages of “Khma Kakhetisa” were published introduction of poem by Akaki “Racha- Lechkhumi”, Poem by Ioseb

Mchedlishvili “Glekhi Zaqro”. We must remark that firstly introduction of “Racha – Lechkhumi” was printed in newspaper “Temi”.

The third section is about prose “Khma Kakhetisa”. During the review we must remark a story “Sikvdili” by Akaki Tsereteli, Which firstly was printed in magazine “Teatri da Tskhovreba”. This story is in poet’s fifteenth volume edition but it is not remarked that this story was printed by “Khma Kakhetisa”. There are also printed one story “Akakis Dzveli Natserebidan” by Akaki, which firstly was printed in newspaper “Deoeba”(N31, 1871 years) and then in newspaper “Temi”

Periodically in newspaper were being printed creation stories, but different from others works they are printed under the pseudonym, some of them are opened, some of them are unknown till today. In “Khma Kakhetisa” were being printed as short novels and miniatures as vast stories, sometimes they were being printed in several editions of newspaper. Also rubric “Patara Peletoni” where were being printed the small parts of poses by “various authors .were “Vinme”(Dimitri Barnabishvili)”Mish (Ilia Shanshiashvili) “Sitkva”(Samon Pirtskalava) “Sanganidze” (Sandro Grdzelishvili) Also there were printed “Datskevlili Dge” by Ivan Gimarteli and also there were printed translations of Oskar Wild and Iv Poruki and some unknown author’s works.

Periodically on the pages of the newspaper “Khma Kakhetisa” were being published stages and plays and these were produced by local theaters.

The fourth section is “Folk – lore materials” “Khma Kakhetisa” pages There are remarked that the newspaper paid attention to people folk-lore. “Khma Kakhetisa” printed models from people’s

folk-lore from the various villages, but their writers are not famous. In the newspaper were printed, the famous works: "Vertskhlis Tasad Maqcia", "Sheni Titberis Enita", "Khomaldshi Chavjeq" "Zgvas Gavel", "Damekhsen, Dedi Damekhsen" they were collected by Ia Kargareteli. the famous legend about "Koshatian", also people's folk-lore from various countries and they were translated by the newspaper's staff. There were printed the Tatar legend "Abdul Hamidis Sizmari" "Japan folk-lore tale: "Mtvare, Tsvima da Qari", also Indian tale: "Vinaa Ojakhis Uprosi?"

In the fifth section "Khma Kakhetisa" publicism. There is performed letters by Irodion Evdoshvili (pseudonym X) "Nakhuli da Piktebi". These letters tell that author knew life village well. His articles are literary value. There is description of landscapes. Author uses various legends, prose and poetries, in order to tell exactly situation which was in Qizik, own exterior and emotions.

In the newspaper "Khma Kakhetisa" were published publicist letters, author, dramatist and publicist is Sandro Shanshiashvili. In "Khma Kakhetisa" were published 28 letters by Sandro Shanshashvili. Most of them were about problems, questions and not only about today's life.

In the sixth section "history letters and information "Khma Kakhetisa" There are examined rubric "Chveni Mtserebi", they are about famous authors in twenties centuries and about their works, leader of this rubric was Tedo Bagishvili. In these letters talk is about biographical and creation of Solomon Dodashvili, Aleqsandre Chavchavadze, Grigol Orbeliani, Nikioz Baratashvili, Giorgi Eristavi, Lavrenti Adaziani, Daniel Chonqadze, and Grigol Rcheulishvili.

In spite of this “Khma Kakhetisa” actually were responding to everyday occurrence, what was happening in literary life. There also is printed biographical and creation information by additional staff about Iakob Gogebashvili ,Rapael Eristavi,Akaki Tsereteli,Ilia Chavchavadze, Vaja- Pshavela, Sirodion Evdoshvili.

The third chapter “newspaper “ Akhlagzrda Kartveli” this was printed on the 10th of January in 1919years in Telavi. Its editor was pupil of secondary school Datuna Abashidze. As we know only ten editions of newspaper were going out. Their authors were: “Sagireteli”(Aleqsandre Popihvili), “Ilale” (pseudonym is not opened) “ D-A -DZ “(Datuna Abashidze), “ Dzvelgalavaneli “(Zaqaria Chkhikvadze), “Sevdia “(Nino Gogoladze)

In spite of newspaper little edition this newspaper played a great role on pupil’s life and on creation development. Other interesting articles were published in the newspaper which was about questions of education ,about sport life and about librarian business. So, the newspaper is interesting in many respects for investigation, these magazines – newspapers are not described in no one bibliographical editions.

The forth chapter the last of work is “ magazine” “ Imedi”. It was going out in Signagi in 1920 years. It was first printed magazine by pupils .After the forth edition ,the magazine stopped to going out editions. On the first and the second edition were being sighed by editors – Ilia Qadagishvili and Stephane Purtseladze .In the newspaper were being printed lyrics, stories ,articles and letters from literature ,from history,from nature speech and from chronical and other.

Excepts Ilia Qadagishvili and Stephane Purtseladze,were contributing to a magazine: Alqsandre Gzirashvili,Ioseb

Gozalishvili, Giorgi Lekiasvili, also teachers: M. Kochashvili, Levan Dzedzamidze, Sagireteli (Al. Popiashvili) I. Khevispireli, Tamar Bostashvili and others. In the magazine was published the story "Visi Bralia" by Aleksandre Gzirishvili a pupil of sixth from secondary – school and artistic feature – story "Saakhaltso" by Tamar Bostashvili the pupil of the same class, lyric "Mtatsmindas" by pupil of seventh form of secondary – school, landscape essay "Oqros Shemodgoma" by pupil of the fifth form of secondary school, "Taiguli" signed by pseudonym "Adamiani" and eight strophes of "The Kinght in the Panthera's Skin it was treated by Ivane Mchedlishvili pupil from secondary – school.

In conclusion there are the main results from labour. Twentieth centuries, the first twenties years was famous from active literary and creation life. The magazines and newspaper publication helps this process in Kakheti. At last of twenties years in Signagi magazine "Imedi" in Telavi newspaper "Akhalgazrda Kartveli" were stimulate for youthful, they were actively involved in literary life.

In both editions, teachers constantly were contributing with pupils and what is important, published literary works were not published in other editions.

Especially we had many like - minded must mark impotence of newspaper "Khma Kakhetisa". This newspaper was going out in the long period and this newspaper had many like – minded persons. Lyrics, stories or landscape works and literary works were published as by permanent staffs, as by ordinal people and by famous authors. At that time, great poet Akaki Tsereteli was interested in this newspaper "Khma Kakhetisa" and he devoted lyrics to it, Ioseb Grishashvili and Giorgi Leonidze didn't hide their favour.

Published literary works only “Khma Kakhetisa” could save for us .In this period magazines and newspapers of Kakheti are mouthpiece to this era and these reflect life of people and country of that time. Themes materials are very various as by genre as by content.

We have discussed most of these works and with helping of these materials we found many unknown materials and authors. That’s why we think, their acquaintance were timely and necessary for society and for scientific –literary cycles.

News of research are published in three sciences labour and they are published in international reviewer magazines.

1. „Sandro Shanshiashvili’s „Letters to his friends“. - international scientific journal „Intelecti“. August 2009. N2(34)
2. „About the rubric of the newspaper „Khma kakhetisa“. - international scientific journal „Intelecti“. August 2011. N2(40)
3. „Fork-lore materials „Khma Kakhetisa“ pages“. - international scientific journal „Intelecti“. December 2011. N3(41)



პოლიგრაფიული მომსახურების ცენტრი
ქ.თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.№1
ტელ: 555 959 757